



ივსება მომსდარ ყვავილთა ნისლით  
და იხურება აბრის ტოტებით!..  
მოდის მაინი, სუნთქავს მაინი  
და კაცს ბაჯერებს, რომ არ მოკვდები!



# სიყვარულის საუკუნე



კვლავ ოცნებას ვუხსნი სარკმელს, წლებმა ფრთა ვერ მიმამტვრია,  
 ხელმეორედ დაბადება მეც (თქვენსავით!) მინატრია.  
 ვიცი, რომ არ უწერია ზეაფრენა ყველა წადილს,  
 მაინც ვსინჯოთ, დავაწესოთ სიყვარულის წელიწადი!  
 არ გავვექცევს თვალი განზე, გულს რომ გული უკეთ ეცნოს,  
 უნდობლობის მღვრიე ტალღის ერთი მხეფიც რომ არ გვეცხოს!  
 ჭიპზე გასკდეს სულაც შური, ვეღარ იხისინოს ღვარძლმა,  
 ჩატკებს ყველა კონტინენტი, ბევრნიც არ ვართ – ხუთი და-ძმა!  
 იმისთვის, რომ გაზაფხული კვირტად ჰკრავდეს თავის სათქმელს,  
 იმისთვის, რომ შემოდგომა ადრიან არ დაგვიზამთრდეს,  
 მტრედებს ვენდოთ!.. სამშვიდობო უკეთ იცის მტრედმა ფონი,  
 დაინავსოს, დაიზაფროს პერშინგების მარათონი!  
 რომ სურვილი სააკაკო ზურგის ტვინში არ გვერქინოს,  
 რომ ავსოკოს ავბედითი ფერფლი ცას არ გაეფინოს!  
 ავვიდულდეს ლამის ტვინი ექსტრაულტრამონაჭორით,  
 გვექადნებით ხან ცივი და ხანაც კიდევ ნელთბილ ომით!  
 თუ ავუქშევთ, ვაფრთხოთ საფრთხეს, ყბა გექცევათ ყბედებს ერთხანს,  
 თქვენი სიტყვის ჭვარტლით მიწას, ან ამ კოსმოსს რა გახეხავს?!  
 ისეც მოკლე წუთისოფელს, ნეტავ, რისთვის ანამცეცებთ,  
 ენასა და ატომს სამტროდ რადა მუხტავთ, რად აცეცებთ?!  
 არ ჩაგყვებით!.. ვერ ჩაგვიხვევს შიგ ეს შულლის აბლაბუდა!  
 მივეფეროთ! – ტკბილი სიტყვა, მიფერება ძალღსაც უნდა!  
 მტრობა – მტრობას, მის სანაცვლოდ სიყვარული აღირიცხოს,  
 დედამ შეილი, შეილმა დედა – დედამიწა დაიფიცოს!  
 მივეფეროთ! – სიყვარული დანგრეულს არ აშენებდა?!  
 უფრო მეტად როსმე რამე გვასახლებდა?! გვამშვენებდა?!  
 არა მარტო სადღეისო, სახვალისო საქმეც ითხოვს,  
 სიცოცხლეზე უკეთესმა სხვამ რამ უნდა გადაგვიმზროს?!  
 რომ ოჯახი ერქვას ოჯახს, შინ მისვლა არ ჰგავდეს ჯვარცმას,  
 ამოსუნთქვის შემდეგ მშვიდად ჩაისუნთქოს კიდევ კაცმა!  
 რომ ნეტარი, სამშვიდობო იყოს ჩვენთვის ყველა წამი,  
 უბატონოდ, უბოდიშოდ შეგვირხიონ ვერც წამწამი!  
 რომ ახსნილი სიყვარული არ მიებას ისევ ბავას,  
 მიეშველოს, არ მოაკლდეს: სითბო – დამზრალს, წყალი – ნარგავს!  
 დედამიწავ! შენს დედაბოძს სიძულვილი ვეღარ გახრავს,  
 რაკი ნიშნად და ემბლემად სიყვარული დაგისახავს!..

წელს ათწლედით მიაყოლე, ნდობა გულში აღულუნე,  
 კარზე გადგას სიყვარულის გულქათქათა საუკუნე!

ზაზა კახიაშვილი

# ელაში კახის ჩანაწერები

**შინაური** ელამიამო, უთქვამთ, მაგრამ რატომ და რისთვისაო, დაბადებითაა ელამი, თუ შექმნილი აქვს სენიო და, თუ შექმნილი აქვს, სად შეიძინა და რა სახსრებითაო, ამასვე წინაპრები სდუმან.

მით უფრო საინტერესოა, გაიკვვეს, თუ რა საყოფაცხოვრებო პრობლები წარმოშობს ამ პროფესიულ დაავადებას, რა კატეგორიის ხალხს ემართება და, არსებობს თუ არა მისი განკურნების გზები? აი ყველა ამ საკითხზე გვირდა გავცეთ პასუხი.

გვწერს ერთი ასეთი კაცი კასპის რაიონის სოფელ ახალციხიდან: შექმნილი სიელმე მაქვსო, სხვის სიმდიდრეზე ისე მეტბრეცება თვალები, რომ სულ თეთრზე ვიყენებ, და თუ ვხედავ რამეს სულ გაორებულად და გასამებულად მეჩვენებაო!..

„განმეორებით გაწუხებით (ხედავთ? მართლა ორად ეჩვენება) და გვეხმაროთ სოფლის მკვიდრთ, რათა ნორმალური არსებობის საშუალება მოგვეცეს, სასმელი წყალი დაუანგებული მიღებიდან მიწაში იღვრება, კოლმეურნეობის მანქანა-ტრაქტორებს სად არ ნახავთ, გარდა საკოლმეურნეო მინდვრებისა, იხარჯება ძვირფასი საწვავ-საპოხი მასალები, ბაღ-ვენახები კი მოუვლელია“.

მისდევს და მისდევს ელამი კაცი, წერს ტყუილსა თუ მართალს და თან ყველაფერზე თავისნაირებს იმოწმებს, თავმჯდომარე ანდრო კენჭუაშვილი მარტო თავის ნათესავებზე ზრუნავსო, ერთმა მისმა დის ქმარმა საზოგადოებრივ მიწაზე ახალი სახლი წამოჭიმა, ძველი კი თავისიანს აჩუქაო, ღობეც გასწი-გამოსწიაო, ხოლო მეორე დის ქმარმა თავისი საკარმიდამო გააორაო, მათ სხვებიც ბაძავენ, ხან მიწას იტაცებენ, ხან მიწაზე მოწეულ მოსავალსაო!..

სულ პრიმიტიული ხერხებით შემოწმდა ელამი კაცის მხედველობა, შედეგებმა კი ყველა მოლოდინს გადააჭარბა, აღმოჩნდა, რომ საკოლმეურნეო მინდვრიდან მართლა დაუტაციათ თვრამეტი ტომარა ხახვი და ხახვივითაც შერჩენიათ. რის აქტი, რის ფაქტი? ამჟამად ამ დანაშაულის კვალი საბოლოოდ წაშლილია და ეს ამბავი ზედ შვიდ ნოემბერს მომხდარა.

მერე კი ხახვის ეს არნახული (სიტყვის პირდაპირი გაგებით) მოსავალი გარღვევად დამჩნევია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების მაჩვენებლებს, ნაცვლად 450 ცენტნერისა ჩაბარებულია 346 ცენტნერი ხახვი.

თავმჯდომარის ერთი დის ქმარს, 0,44 ჰექტარის ნაცვლად, 0,53 ჰექტარი შემოუღობავს, ესეც არ უქმარია და ღობის იქითაც გაუფრცია თავისი სამფლობელო — რალა არ დაუყრია თუ დაუწყვია საზოგადოებრივ მიწაზე თავისი ახალი სახლის ეზოს მიღმა, ახლომახლო, ხოლო დანარჩენი ორი (ერთი ძველი და ერთი ახალჩაყრილი ბალავარი) გასხვისებული აქვს.

ახალი სახლის ბალავრის ჩაყრას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეც დასწრებია და ცნობაც გაუცია, ამა და ამ კაცს სახლი არა აქვს და აშენების ნება დართეთო, თითქოს არ სცოდნოდეს, რომ სოფლიდან ამოწერილ მოქალაქეებზე ცნობა არ უნდა გასცეს, თუნდაც ისინი ნაცნობ-ნათესავები იყვნენ?

როგორ დავიჯეროთ, არც ის იცის მ. ქარქუსაშვილმა, რომ როცა გაცემული ცნობის ასლს სთხოვენ, შიგ

ისევე ის უნდა ჩაწეროს, რაც დედანში ეწერა?

ახლა თავმჯდომარის მეორე დის ქმარზე: ვალიკო ივანეს ძე ბარნოვის ოჯახი საკოლმეურნეო კომლად არ ითვლება, ზონარგაყრილ წიგნში 1969 წლის ჩანაწერით მას უკავია 0,14 ჰა, სინამდვილეში უჭირავს 0,28 ჰა.

აი, სადამდე მიგვიყვანა შინაური კაცის სიელმემ, ან თუ შინაურების სიელმემმა, თურმე სულაც არ მოსჩვენებიათ დანახული ორად და სამადა.

ჩანს, რაკი სიმართლის თქმა მოსწყურებიათ, თვალის გაუსწორებით სიმართლისათვის და ყველაფერი სწორად დაუნახავთ.

რაკი სიელმის წარმოშობის მიზეზი გავარკვიეთ, საბოლოოდ ერთ კითხვას დავუსვამთ გ. სააკაძის სახელობის ნოსტეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ანდრო კენჭუაშვილს:

— რას ერჩი, კაცო, რა დავიშავეს თანასოფლელებმა, რად აბრეციებთ თვალს შენიანების უკანონო კეთილდღეობით, რაზე აელმებ უდანაშაულო ხალხს?

**ელგუჯა მირაბიშვილი,  
ნანა ჯაჯანაშვილი,  
„ნიანგის“ სპეციალური კორესპონდენტები.**

ნახ. შ. ლელაძისა



— არიქა, ვიღუბებით, კომისია დაგვეცა, წინასწარ გაყიდულ საფლავეებს გვიმოწმებენ!.. თუ ძმა ხარ, რევიზორის წასვლამდე ჩაწეკი და... მერე მე ვიცი!



— შეჩერდით, ჩართში ნულარ ჩააბარებთ, მაგ ტრაქტორის დაკარგული ნაწილი ვიპოვე!

# გალაკთიებული ცნობილი სტრიქონები

ანუ ანტიპოდთა აღსარებანი

- სჯობს ჩემს სიკვდილსა ნაღდადა სიკვდილი სხვა ხელოვანის!
- არღვიწყება მოყვრისა ყველას ჩემს სასლში მოყრისა!
- რასაც არ ვასეებ, შენია!
- ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მასვე ვიტყვი კახაბერად!
- მე განა მშობერი ვიყავ, ჭამისათვის წამოვედი? შენი გამოძალვა მსურდა — ქრთამისათვის წამოვედი!
- მაგრამ რადგანაც კაცნი გვჭვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდევას სულ კისერზე ვისხედეთ მშობლისა!
- ჰსპარპედ მოსკოვში რუს მთარგმნელთა მე სატანჯველად!
- არ დაიჭერენ, არ დაიჭერენ, არ დაიჭერენ — ფულით დაჯორგავს!
- ერის წყლული მანდეს ფულად!
- დაგოდმვით მე ვარ, გბოლმავ შენ!
- დადგანენ იქ, სადაც ქარიშხალია და ჩამომართვეს ცხვარიჭამია!..
- მე ვარ და ჩემი კნენა და შვილი — მისი ნაზად!
- მოყვარეს პირში უძრახე და წყალში გადაუძახე!
- მაღლი ქენი, ქვაზე დადე და წაილე იმ ქვიანად!

ჩაიწერა ბათუ ბელია

**გამცილებალი:** — ძვირფასო სტუმარო, მართალია დიდი პარტივი ვერ გეცით, მაგრამ, მაინც, როგორ მოგეწონათ თბილისი?

**სტუმარი (აღფრთოვანებით):** — ოო, დწალიან, დწალიან! არაგვი, ივერია, დარიალი, ბუდაფუშოი!.. შესანიშნავი საკვიფრო ადგილებია!

**გამცილებალი:** — თბილისის გარდა, კიდევ რომელი ქალაქი მოგეწონათ განსაკუთრებით თავისი ხალხით, პურმარილით, სტუმართმოყვარეობით?

**სტუმარი:** — რასაკვირველია, კუ... კუ... ვეე...

**გამცილებალი:** — ქუთაისი, არა?

**სტუმარი:** — კუტაისი, კუტაისი, გოგისვანიდუშების დიდებული რესტორანი, საცოვი და ნაღუფი, მჩადი და ქალ... ქალ... ქალმანი, ქაურმა, საცივი და გომი... და ქიდეე ხანა, ხანა, ხანაფური!.. ქარგია, ქარგია!

**გამცილებალი:** — რას გვეტყოდით ბათუმზე, ქობულეთზე, ფოთზე? როგორ შეგხვდნენ ამ ქალაქებში და თუ ბრძანდებით კმაყოფილი?

**სტუმარი (ნერწყვის ყლავებით):** იკაც ქარგი რესტორნებია!.. ცოცხალი, ქუფათი, საცივი!.. ვენიალურია, დწალიან ქარგია!

**გამცილებალი:** — კახეთზე ხომ არ გვეტყოდით რამდენიმე სიტყვას?

**სტუმარი:** — დიდებულია ქახეთი, დიდებული! ალაზნის ფირას ქეიფი, ქახური გვირი, ხაშ... ხაშ... ხაშლაძე! სუფრას ფირდაფირ მეფეებისა და ფოეთების სასლმუშეუმებში გეცქობდნენ. სამუქაროდ, ისე, გამო... გამო... გამოფუნდურდი, რომ ამ დიდებულთა ერისქეცების საქელები და გვაჩრები ავარ მაქსოვს. თქვენ იარმოიღვინეთ, თამაღების გვარეუბნი დამაგიცქადა!

**გამცილებალი:** — რამდენი დღე დაპყავით საქართველოში და კიდევ რა ადგილები დავათვალიერებინეს?

**სტუმარი:** ვიქვი ტიტკმის ერთი ტკე. არ დავგიოთქვებია „ბუდაფუშოი“, „ისინდი“, „იოლორო“, „ქრცანანისი“, „დურუფი“, „საღიინო“, „სამგორი“, ამ რესტორნებში გავეცანი საქართველოს ისტორიას, ქულტურას, დავიოს, ცოთხეს, შოტას, საბას, ილიას, აქაქის, ვაჟას, ბარატაშვილს, ფანლაქტიონს, ქარგი იქნებოდა, მთაცმინდა და დიდების ფანთონივ მენახა!.. შეამაქება, რომ სწორედ ტკვენტან ვისცავლუ საღვეგრდულეობის ტკმა, გავეცანი ქუნჩანის, მცვადის, ჩაკაპულის, ბაჟის, აჯიიკის, ხაშის, თქემლის გემოს!

**გამცილებალი:** — კიდევ რა მოგეწონათ საქართველოში?

**სტუმარი:** — გამაქვირვა აქაური ქეცების ჯანმრტელობამ, როგორ ქარგად სვამენ... სქვათა შორის, როგორც ტამაღებმა აგნიშხეს, საკარტველო ქულთურის დუგველითაც მდიდარი ქოფილა, დრო რომ მქონოდა, უსატეოდ ვნაქავდი და დავატვალიერებდი!

**გამცილებალი:** — თქვენი სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ ძალიან მოგეწონათ თბილისი, მთელი საქართველო, ისიც გეითხარით გულწრფელად, რა არ მოგეწონათ, თქვენს შენიშვნებს სიხარულითა და სიამოვნებით მივიღებთ!

**სტუმარი:** — ქერძები გიკვართ დწალიან და დწალიან სქარე და მლაშე, ციცაქიანი, დწმრიანი და ნიგვზიანი, გულგვიძლი მეცვის, ტირკმელუბიც ამთქვავდა, მაგრამ ეს ცვრილმანია, როგორც კი ჩავალ ჩემ სამშობლოში, იმ ცუთში მქურნალობას შეუდგებო... საქვირველია, როგორ ასერებთ ამდენ ქოფს, ან საიდან გაკვტ ამდენი საშუალეობა და დრო? კონაგ, კონაგ კარტველებო, თქვენ უნიკალური კალკი კარტ!

**გამცილებალი:** ჩვენი ძვირფასო სტუმარო, გაცილებლისას რას უსტრვებდით ჩვენს ხალხს, რომელმაც შეძლებიდა გვარად, ღარიბულად გავიწიათ მასპინძლობა და მომავალში შეეცდებო, უფრო კარგად გავიმასპინძლეს?

**სტუმარი (ჩემოდანს იღებს):** — გისურვებთ, არ მოგმლოდებ სტუმარი და კოველტვის კონებოდებ პურმარილის ვაცკობის შნო!

**გამცილებალი (თხოვნითა და მოწიწებით):** — ვატყობ, მგონი გადაგღალეთ, მაგრამ განშორებისას ხომ არ შეგვერბინა სახელდასელოდ სადმე და ხომ არ დავგველოცა საბოლოოდ ერთმანეთი?

**სტუმარი:** — არც ეს იქნებოდა ურიგო, მაგრამ ვაპრენის დროა!.. მალე ჩასქდომა დაიკება ტვიტპრინავში!.. ტუმცა, ქიდეე მოვასტრებთ!.. ცავიდებ, გებუკაა!..

მოისმინა ვანო ცინცაქა



## აღერკიული ღიადოვი

— მომეშველეთ, მომეხმარეთ,  
მელუბება თავმჯდომარე!..  
— რა სჭირს საწყალს, რა შეპყრია?  
— რა და, მწვავე აღერგია!  
— თუ კაცი ხარ, ერთი მითხარ,  
მაინც რა სწყენს, რას ვერ იტანს?  
რას უჩივის — ღვიძლს, თუ თირკმელს,  
ან ელენთას ხომ არ იტყენს?  
— არა, არა, ჩემო კარგო,  
გენაცვალოს ჩემი თავი!  
მე ვერ მიტანს, რად არ გყავსო  
დიდი კაცი ნათესავი!..  
დამინახავს, გაგიჟდება,  
შეეცვლება ფერი-ფური,  
იწყება და რა იწყება —  
ლანძღვა, კიცხვა, ხაყვედური!..  
მე ბელშავმა ვერ მოვძებნე  
დიდი კაცი რახან ვერხად,  
ჩემს წყენაზე კოლეკტივში  
პრემიაც კი დააწესა!..  
ვინც გულსატკენ საქმეს მიზამს,  
ავად ჰკადრებს რახან ვანა?! —  
მას — ურიგოდ ავეცი და,  
მას — ხაგზური, მას — მანქანა!  
— ეს ახეა, თუ არ გიცავს  
დიდი კაცი შენიანი!  
ამისთანა აღერგია  
ახლაც ხშირი სენი არი!..

ზენა ჩხეტიანი

გთავაზობთ სანიუმო ამო-  
ცანებს, რომლებიც შედგენილია რე-  
ალურ სინამდვილესთან სასკოლო  
პროგრამის უკეთ დაკავშირების მიზ-  
ნით.

### ამოცანა პირველი

დასტაჰარი „კ“ კუჭის ოპერაციაში  
ორჯერ მეტს იღებს, ვიდრე დასტაჰარი „ბ“  
— ბრმა ნაწლავის ოპერაციაში. რამდენს  
იღებს „ა“ თითოეული პაციენტისაგან, თუ-  
კი „ბ“-ს, ასი ოპერაციის ჩატარების შემ-  
დეგ, შეუძლია იყილოს ავტომანქანა „ნივა“?

### ამოცანა მეორე

გამომიყვალვამ ქრთამის აღების  
ფაქტზე დაკვირვებულ პირთაგან რვაწლიანი  
მუხლი მიუყენა, მაგრამ მოსამართლემ ლი-  
ბერალობა გამოიჩინა და სასჯელის ზომა  
რვიდან ორამდე ჩამოიყვანა. რა ფასი აქვს  
„ლიბერალიზმს“, თუ ბრალდებულის ნათე-  
საეებს თითოეული წლის ჩამოკლება ათასი  
მანეთი დაუჯდათ და რა დაუჯდება მოსამარ-  
თლეს ასეთი ქრთამისაგან, თუ კოჭი  
აღჩუზე არ დაუჯდა?

### ამოცანა მესამე

სახლმმართველის ბინაში წყალგაყ-  
ვანილობის გაუმართაობის მიზეზით თვიუ-  
რად ათასი დეკალიტრი წყალი იღვრება.  
რამდენ დეკალიტრ წყალღვინოს დააყენებდა  
მის მიერ გიორგობისთვეში ფუჭად დაღვრი-  
ლი წყლით მელდინე-ფალსიფიკატორი?

გამოგავნა ზურამ ზარაზშიძემ

## კოთის აღსარება

ჩავალ სოფლად, შემომხვდება  
მეზობელი კოლია,  
ისე კუმტად შემომხვდება,  
რედაქტორი მგონია:

„არც კარგს ვისმენ, არც ცუდს შენზე,  
ხელფასს იღებ რამდენსო?  
ლექსებს წერ და არ ჰგავს ლექსებს,  
წერე, რამეს ჰგავდესო!“

ტელევიზორს ვინდა ჩივის,  
რადიოც არ გასხენებს!  
ბიჭო, მართლაც გული მტკივა,  
რატომ ვერ გვასახელებ?

აი, აგერ სოფლის წყარო,  
აი, აგერ ღელვა!..  
შენ რა ღმერთი გაგიწყარო?! —  
სულ ფოცნიშვილს მღერია!


ლექსებს გიჯობს, ბატს ფებს ბანდი,  
თევზს უგებდე ფაცერებს,  
აბაშელმა აბაშაზე  
სიტყვაც კი ვერ დაწერე!

სიმინდი და სხვა რაც მოგვყავს,  
მიგაქვს, მიუზიდები!  
ბებიაშენს თითქოს სოფლად  
დარჩენილდეს მზითევი!

შენი ეზო, შენი კარი,  
გატილდა, დანაცრდა!  
ვაი, მართლაც ჩემი ბრალი! —  
ვერც ღმერთს ვარგე, ვერც კაცსა!

ჯანო ჯანელიძე

ნახ. 8. აბაშისკისა



— შევცდით, დავიგვიანეთ, რევიზორებმა დაგვასწრეს!



# ბერძენის სიმკაცრის მეწკრიხსევი



შეჯამება

**აშაპი** ესე ქართული ხალხური ზღაპარივით იწყება: იყო და არა იყო რა, გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში ცხოვრობდა ორი მეზობელი — ანა ურიგაშვილი და ოლა მარლიშვილი. მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ამათი ომიც მაშინ გაჩაღდა. — ოლა თავისი ნაკვეთის გასწვრივ საურმე გზას თხოულობდა, ანა უარზე იდგა და საქმეში ჩაერივნენ მოსამართლენი.

ამონაწერი 1939 წლის 22 იანვრის სასოფლო საბჭოსთან არსებული სასამართლოს დადგენილებიდან: „ოლა მარლიშვილს ჰქონდეს უფლება, რომ ისარგებლოს აღნიშნული ურძის გზით“.

ჩაიგვა ანამ რკინის ქალამნები და უფრო შორს წავიდა. ამონაწერი გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის უბნის სახალხო სასამართლოს 1939 წლის 22 აპრილის დადგენილებიდან: „დაკმაყოფილდეს ანა ურიგაშვილის ძიება, აკრძალოს ოლა მარლიშვილს შიშობის ვეზსზე ურძის გზით სარგებლობა და დარჩეს მხოლოდ საცალფეხო ბილიკის გზა“.

ავი ენები ამბობენ, რომ ანა ურიგაშვილმა ეს ნაკვეთი მიჰყიდა ივანე ხომასურისძეს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მეჯვრისხეველი ომი კი ჯერ არ დამთავრებულა..

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვალაქტიონ რთველიაშვილი ამტკიცებს, რომ აქ მიწის ყიდვა-გაყიდვას კი არ ჰქონდა ადგილი, არამედ გაცვლას. ამონაწერი 1983 წლის 2 ნოემბრის ოქმიდან: „ა.შ. გ. ა. რთველიაშვილი აღნიშნავს, რომ ჩვენთვის ნათელია, ჯერ კიდევ 1937 წლის აქტში ნაჩვენებია, ივანე გიორგის ძე ხომასურიძემ რომ მოუცვალა კოლმეურნეობას თავისი ნაკვეთი“.

ნათელია! ნათელი კი არა, უფრო დაბნეულა, საქმეში კოლმეურნეობაც გაიყვანეს. თქვენ რა გაიგეთ, მკითხველო?

ცხრამეტწლიან კომისიამ და ინსტანციამ შეამოწმა გზის საკითხი. მოდევნებამ ბევრჯერ იჩივლეს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში, აღმინისტრაციულ ორგანოებში, სასოფლო საბჭოს აღმასკომის მისამართით მოდიოდა სადავო საკითხის შემოწმებული კომისიების დირექტივები, საბჭო კი ამ დირექტივებს ერთი ყურიდან მეორეში უშვებდა და საქალაქდემი აკრავდა. თუცა სოფლის ხელმძღვანელობასაც ვერ გააშტყუნებ. აბა, რა ექნათ, როცა საბჭოს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა გ. რთველიაშვილმა და

ვ. ჩისლაძემ გორის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებიდან ურთიერთსაწინააღმდეგო წერილები მიიღეს 1981 წლის 20 თებერვლით დათარიღებული და 245 რიცხვით დანომრილი. ერთში ასკვნიან: „არავითარ კანონს არ ექვემდებარება გზის გაფართოება, მოქ. ი. გ. ხომასურიძის სათონის დანგრევა გზის გაფართოებისათვის არაკანონიერია“. წერილის „ტყუპის ცალში“ ასკვნიან: „შემოწმებით გამოირკვა, რომ მოქ. ტატო ანდროს ძე ფსიტძეს (ეს ფსიტძე ოლა მარლიშვილის ზედსიძეა) როგორც მოგასვენეთ, გადაუტრეღმა სასაზღვრო კონფლიქტმა თაობები ჩაითრია!) ივანე გიორგის ძე ხომასურიძის სახლის დასავლეთის მხრიდან ჰქონდა საურმე გზა, სადაც მოქ. ი. გ. ხომასურიძემ შესასვლელში ჩადგა სათონე, რითაც დააეწროვა შესასვლელი გზა, ამასთან სათონიდან გააბა მათუღბადაც 20 მეტრის სიგრძეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე გასოვით აღადგინოთ მოქ. ტ. ა. ფსიტძის შესასვლელი გზა პირვანდელ მდგომარეობაში, ამასთან ნარგავებს უნდა შევკრას ვადმოსული ტოტები, რათა არ შეუშალოს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი მისვლა მცირეგაბარტიან ტრანსპორტს. აღნიშნული გზა ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ ტ. ა. ფსიტძეს და ი. გ. ხომასურიძეს ნარგავების დასავლეთით არაფერი არ ესაქმება“. როცა ამ სტრიქონებს გაერთიანების ხელმძღვანელი ზ. მემანაშვილი აწერდა ხელს, რას იფიქრებდა, თუ მის მიმართვას ორეული გაუჩნდებოდა შემთხვევითი წერილის სახით, რომელზეც ხელს მისივე მოადგილე ა. ქარელი მოაწერდა.

ერთსა და იმავე წელს, ერთსა და იმავე დღეს, ერთი და იგივე ნომრით — სხვადასხვა დასკვნა!

ამაზე იტყვიან, მარჯვენამ არ იცის რას აკეთებს მარცხენა! სხვა რამეხან იტყვიან!.. 1981 წლის 14 აგვისტოს გაერთიანებამ მესამედ მისწერა (მიმართვა № 2016) რთველიაშვილს და ჩისლაძეს, რომ გაეფართოებინათ ხომასურიძის მიერ დავიწროებული გზა, „რათა არ შეუშალოს ხელი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი მისასვლელ მცირეგაბარტიან ტრანსპორტს“.

ალარაფერს ვამბობთ ამავე შინაარსის მიმართვაზე, 1980 წლის 7 აპრილს რომ მიიღეს სოფლის თავკაცებმა გაერთიანებიდან, ალარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ გზის ერთი მეტრით გაფართოებას მოითხოვს აგროსამრეწველო გაერთიანების იურიდიული ჯგუფი რისაბჭოს აღმასკომის

თავმჯდომარის მოადგილის შ. ჯვარიძის ხელ-  
ში მიწერილი მოხსენებითი ბარათით.

ალარაფერს ვამბობთ აგროსამრეწველო გაერთიანების მიმართვაზე გორის რაიონის პროკურორისადმი (№1807, 1980 წ. 12 სექტემბერი), რომელსაც ეთხოვა გადაწყვეტილი საკითხის სისრულეში მოსაყვანად გადაამტკრელი ზომების მიღება.

მაშ, რას ამბობთ?! — გვიტოვავს მკითხველი.

ანლა იწყება მეორე მოქმედება. როგორც იქნა, გაბედა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვალაქტიონ რთველიაშვილმა და საკითხი აღმასკომის სხდომაზე გაიტანა განსახილველად 1983 წლის 2 ნოემბერს. გადაწყვეტიტეს: „ხომასურიძემ ნაკვეთის მთელ სიგრძეზე შეიწიოს ნაწევარი მეტრით, რითაც საშუალება მიეცემა ფსიტძეს, რომ მოტოროლერი ჩაატაროს თავის ნაკვეთამდე“.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, როგორც იქნა, მივიდა ფსიტძე თავის ნაკვეთამდე! მაგრამ სად მივიდა, — ქალაქდემ!

დეკემბრამდე იარება ამ გადაწყვეტილებამ გზის გაფართოების შესახებ. ხომასურიძის ბანაკმა არ მოიწონა აღმასკომის დასკვნა და... დაჯდა ბჭობად კვლავ აღმასკომი, გვინდა შევიბრალოთ მკითხველი, მაგრამ თავს ვერ ვიკავებთ ცდუნებისაგან, რომ ახალი გადაწყვეტილება, რაც გზას ესება, მთლიანად არ მოვიტანოთ: „ი. გ. ხომასურიძის სახლის სამხრეთ დასავლეთით კუთხიდან სამხრეთის მიმართულებით ფსიტძის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მისასვლელამდე სარწყავი რუდან ხომასურიძის საკარმიდამო მიწის ნაკვეთამდე გზის სივრთე დარჩეს 1,30 მეტრის სიგანით, ხოლო საცხოვრებელი სახლის სამხრეთის კუთხიდან ჩრდილოეთის მიმართულებით არსებული მათუღბადის ღობე და მის გაგრძელებაზე მდებარე სათონე შეწეული იქნეს 0,5 მეტრის რაოდენობით იმ ვარაუდით, რომ შესაწვევი ფართობის კონფიგურაცია შეადგინდეს საშუალოდ, ე. ი. საცხოვრებელი სახლის სამხრეთ კუთხესთან სამხრეთის მიმართულებით გზის სივრთე დადრჩეს 1,30 მეტრი, ხოლო მეჯვრისხევი ახალუბნის გზასთან შესასვლელი დარჩეს 1,50 მეტრი საერთო სარგებლობის გზად“.

ყველაფერი ეს რომ ქართულად ვთარგმნოთ, ამ სახეს მიიღებს: ფსიტძემ რომ თავის ნაკვეთში მცირეგაბარტიანი ტრანსპორტი შეიყვანოს, ხომასურიძე უნდა შეეწიროვდეს 0,5 მეტრით გზის დასაწყისიდან სახლის ბოლომდე, გზის შუა ნაწილიდან კი გზის სივრთე დარჩეს 1,30 მეტრი ე. ი. გზა, გაფართოების მაგივრად, უნდა დავიწროვდეს 20 სმ-ით. თუ მსუბუქგაბარტიან ტრანსპორტს სათონესა და სახლის გასწვრივ 1,50 მეტრის გზა ესაჭიროება, გზის დანარჩენ მანძილზე ეყოფა ტრანსპორტს 1,30 მეტრი გზა? მაშინ რა აზრი აქვს სათონეს 0,5 მეტრით რომ ახვეინებენ უკან? მეერა, რომ უნებართვოდ, უპროექტოდ და სახანძრო წესების დარღვევით არის აშენებული?

გზის ნაწილობრივ გაფართოების შემდეგ ტ. ა. ფსიტძეს ისლა დარჩენია, შევიდეს ხომასურიძის სახლის ბოლომდე, გააჩეროს მცირეგაბარტიანი ტრანსპორტი, მიაბას იქვე მდგარ კომპის ხეზე, ფეხით გაუყვას ბილიკს, თვალა დაიტკბოს ჭანჭურის ხეების ცქერით და ასე სეირნობით ჩაივდეს თავის ნაკვეთამდე.

ესეც სამკუთხედის კონფიგურაცია!

ამან უნებლიედ ბერძენის სამკუთხედი გავახსენა, მეჯვრისხეველები კი ამბობენ, ურემი რომ გადებრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდება!..

**გიგო ზარნაძე,  
ჯავახი ინჯია,  
„ნიანგის“ სპეცკორესპონდენტი.**



ახლა მეტი რაღა შემიძლია, „საქმედებანიკის“ ხელმძღვანელობავ, თქვენ მოგმართავთ სამხმირით:

— შევდივარ თქვენს მდგომარეობაში თვალის მინის დამზადება ამ კოსმოსურ ეპოქაში დიანაც რომ „ძნელია“ და ზოგ შემთხვევაში ალბათ „შეუძლებელიც“!

თუმცა არის ერთი გამოსავალი: სადაც წესრიგია და თავიანთი საქმე იციან, იქ შეუძლებელი არაფერია!

ლავრენტი ზიზინაძე

ფელეტონი

ყოველ ადამიანს თავისებური ღებნა და გასაჭირი აქვს. ზოგს თავის ტკივილი აწუხებს, ზოგს წელი სტკიავს, ზოგს არაფერიც არა სტკიავს, მაგრამ კარგად ვეღარ იხედება, უჭირს წერა-კითხვა.

მერე რა? ნეტავ ასე ადვილად სხვა რამეს ეშველებოდეს!

სათვალე და მიხი ჭანი! მეც დამჭირდა სათვალე. მივედი ექიმთან. შემიჩნია, გამომიწერა რეცეპტი. რაღა ზოგს წავიღე-მეთქი, ზავზავბაძის პროსკამპტში ერთი დიდი სხლის პირველ სართულზე, მსბბრულად რომ აწერია „საქმედებანიკა“, იმაში შევიარე. წინასწარ ვფიქრობდი: აქ რა არ იქნება-მეთქი. რამდენიმე მომსახურე ქალიდან ერთ-ერთს მივაწოდე ჩემი რეცეპტი. როგორც კი დახედა, წამოიძახა:

— უჰ!.. — ამ შეცხადებას მერე თითქოს ჩემდამი თანაგრძნობით, თავაზიანად მიაყოლა, — რამდენი ხანია ამ ზომის მინები არა გქონია, — და რეცეპტი დამიბრუნა.

ამ პასუხმა იმედი ვერ გამიცრუა. აქ არ არის, სხვაგან იქნება-მეთქი. ბევრგან ვიყავი, მაგრამ იხევ უარი და უარი. ბოლოს კლუბ-სანოვის პროსკამპტზე რომ „საქმედებანიკის“ მაღაზინა, იქ შევედი. იქაც უარი მითხრეს, მაგრამ სამაგიეროდ იქ დამხვდა მწარუნველი ადამიანი. მან მითხრა:

— რად გინდათ, რომ ყოველდღე შეწუხდეთ აქ სიარულით, დამიტოვეთ რეცეპტი, მისამართი და გადაიხადეთ ოთხი კაპიკი! თქვენ წაბრძანდით! როცა მივიღებთ, მაშინვე გაცნობებთ!

გულთბილი სიტყვებია! მესიამოვნა. სხვაგან ესეც არ გამოიმეტეს. დაიმედებული წამოვედი.

გავიდა ერთი თვე.

არავითარი ცნობა.

ვიფიქრე: ალბათ გადაავიწყდათ-მეთქი. იხევ მე მივაკითხე. იმ ქალმა, ვინც ჩემი რეცეპტი დაიტოვა, გამოსწია მაგიდის უკრა. უამრავი რეცეპტი ამოიღო. თურმე ჩემს მდგომარეობაში სხვებიც ბლომად ყოფილან. ეძია, ეძია და, როგორც იქნა, იპოვა.

— ოჰ, არ დაკარგულა! — წამოვიძახე.

— აქ არაფერი იკარგება. — ქალმა მხრები აიჩემა, — რა ვქნა, არ მიგვიღია ამ ზომის მინები!

— საიდან იღებთ? — ვეკითხები მე.

— „საქმედებანიკა“ გვამარბავს!

— რა „დიდებული“ მომარაგება გქონათ! „სანიმუშო“ წესრიგის მაგალითიც ეს არის! — ჩავილაპარაკე უსიამოვნოდ და წამოვედი.

იმედი მაინც არის.

მომარაგებენ ალბათ ოდესღაც, მაგრამ მოსალოდნელია ერთი უბედურება, მაშინ უთუოდ სხვა ზომის სათვალე დამჭირდება. მერე რა? ექიმო იმასაც გამომიწერს! ჰოდა, ისევ თვეობით ლოდიწი!



ნ. ლუმაბაძის

— რამე თუ ეხერხება?

— არაფერი, მაგრამ არც ხელს შეგვიშლის!

დაქალი  
-ს აქვს  
არსებობს  
ვაპროქაყა!

ისე მომრავლდა, ყოველ წუთს,  
ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოა,  
ძალა აქვს, არ თქვათ, იმასთან  
ეს ლექსი რას გახდებოა!

თუმცაღა სულაც არ არის  
ადვილი მისი ცნობაო,  
ახლა ეშმაკსაც დააბნევს  
იმისი თვალთმაქცობაო!

სხვა სახე აქვს და სხვა მზერა,  
სულ შეიცვალა ფერიო,  
ხანდახან მიმინოსა ჰგავს  
ხეზე შემქდარი მწყერიო!

ცა ქულად არ მიაჩნია,  
წევით გაურბის თვალიო,  
ხელქვეითებთან ქედმაღლობს  
უფროსთან თავმდაბალიო!

ყოველ სიკეთეს, ძამია,  
მიტომ უწვდინა ხელიო,  
მგელთან კრავია უმწეო  
და კრავთან — რუსი მგელიო!

რაც კი ისურვა, მიიღო,  
ოცნებით როდი ხატაო!  
ის წრუწუნაა კატასთან  
და თაგუნასთან — კატაო!

იმის გერგილის მნახველსა  
გულში გაგივლის შურიო,  
უბირთან ყოვლისმცოდნეა,  
მცოდნესთან — უწიგნურიო!

აქეთ და იქით ქანაობს,  
დღემდე ატყუა ყველაო,  
ჭიანჭველასთან ლომია  
და ლომთან — ჭიანჭველაო!..

მაგრამ მიიწევს თანდათან,  
დღეს-ხვალე, ნელა-ნელაო,  
სადღაც სიმართლის შენახულ  
გაღების დანისკენაო!

ანჟორ აბულაშვილი

**მარნეულის რაიონის სავაჭრო დაწესებულებებში,**  
ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, მაღაზიები, აინუნშიაც არ აგდებენ  
მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთ მიღწევას, რომელსაც საათი  
ჰქვია. როგორც ჩანს, აქ დროის გამოთვლის ძველ საშუალებას  
იყენებენ — ჟამთასვლას მზის სხივთა დახრილობის მი-  
ხედვით ანგარიშობენ.

მზის საათს ბევრი უპირატესობა აქვს და მარნეულის რა-  
იონში ეს მშვენივრად გაუგიათ. ჯერ ერთი, ნებისმიერ დროს  
შეუძლია კაცს თქვას, რომ მზე ღრუბლებს მიეფარა და ამიტომ  
საათი ვერ დავადგინეთ. ეს კი ნიშნავს, რომ მაღაზიას როცა  
გინდა, გააღებ და როცა გინდა, დაკეტავ. გარდა ამისა, შესვე-  
ნებაც ხომ არის. ჰოდა, მაღაზიის აბრაზე თუ წერია — „შეს-  
ვენება პირველიდან ორამდე!“ — არ დაიჯეროთ, რადგანაც მა-  
ღაზიის გამგე-გამყიდველი მზის საათით მუშაობს და რას გა-  
უგებ?

მოკლედ, მარნეულის რაიონში ამ საკითხში საკუთარი ას-  
ტრონომია მოქმედებს. ასეა არავლოს, შულავრის, შაუმიანის,  
კაპანახჩის მაღაზიებში. სოფელ წერეთლის სამეურნეო საქონ-  
ლის მაღაზიის გამგე-გამყიდველი კიდევ უფრო შორს წასულა  
ამ სიტყვის პირდაპირი და ნართაული გაგებით. დაკეტილი  
მაღაზიის წინ მოთამაშე ბიჭბუჭობა, თუ ნამდვილი მუშტარი  
ხარ, გავარდება და ცოტა ხანში გამგე-გამყიდველს მოგიყვანს!

ძნელი წარმოსადგენია, რომ ამის შესახებ არაფერი იცო-  
დეს მარნეულის რაიკოოპკავშირის თავმჯდომარემ ვ ა ნ ტ ა ნ გ  
ჩ ი კ ვ ა ი ძ ე მ, რადგანაც მისი სამუშაო კაბინეტის ფართო  
ფანჯრებიდან მზე კარგად ჩანს და, ვფიქრობთ, დროის ანგა-  
რიში ძველი წესითაც კარგად უნდა იცოდეს, თუ არადა —  
რჩევას მივცემთ: თვითონაც უახლეს სასაათო რეჟიმზე გადა-  
ვიდეს და თავისი მრევლიც გადაიყვანოს!

**ზურაბ რცხილაძე**



ნახ. ი. ამინაშვილისა

უხიტყვოდ

# საგირყელ-იურიანიულო ლოჩიჯა

## ბასაღები

უკვე შესახლდი? თუ ფასადი  
გასაღებია?  
ხუთი ბინა და ხუთასამდე  
გასაღებია!..  
აქ — აბაზანა, იქ ლოჯია,  
აქეთ — „ჩულანი“  
და აივნები, სილურჯემდე  
საჩურჩულონი...  
აქ კაფელია დასაგები,  
ხოლო პარკეტი  
დაბრეცილია, უჭველად  
ასაღებია!..  
რის გასაღები?!  
ჯერ რა დროის გასაღებია?!  
ვინმე შეგასწრებს?  
მაშინ მართლა გასაგებია!  
ჩქარა შესახლდი, თუმც ფასადი  
გასაღებია!  
ამ აცმულაზე ხუთასამდე  
გასაღებია:  
ეს სახლისაა, ეს გარაჟის,  
ეს კი მანქანის,  
ამით შეაღწევ აგარაკში, —  
არ გაქვს აქამდის?!  
ეს კაბინეტი, ეს მაგიდა,  
ეს სეიფია,  
ამ მაცივარში არაყი და  
სიიფუა.  
უნდა იცოდე: კაცი კაცად  
ვერ გასაღდები,  
თუ არ ჩხრიალებს შენს ჯიბეში  
რამ გასაღები!  
გასაღებიდან შორი გზაა  
დიდ სიკეთემდის:  
გგონია კეტავ, მაგრამ თურმე  
თვით იკეტები!..



## სახინკლესთან



რინგს გირჩენია სახინკლე ისევ  
და მიბრუნებს სახით კლეისკენ..  
მაგრამ თუ ყლაპე ასე ხინკალი,  
ყლურწე ქაფქაფა ლუდის კათხები,  
ნიჩბით გახდები „ასახიკავი“,  
ანუ საფხეკი და... ვერ გახდები!

## ანკეპტა

არაფერი გამოვიდა,  
ვერაფერი აკეთა,  
სანამ სარამ არ შეავსო  
ერთი ტონა ანკეტა!..  
რომ ესაა, რაცა კმარა,  
ესაა, ის არაა,  
რომ სარაა, მაგრამ არა  
ბიბლიური სარაა!..  
რომ ქალია, და რა ქალი —  
მდედრობითი სქესია!  
სხვაზე უკეთესია თუ  
ასე უკეთეს სია?  
რომ ამა წელს დაიბადა  
(გათქვა მაინც ასაკი!),  
აქ ისწავლა, იქ იშრომა  
და აქ შრომობს მას აქეთ!..  
ბოლოს ხელიც მოაწერა,  
რა გამოვა აქედან?  
ჩაიყარა ერთ უჯრაში  
ათასობით ანკეტა!..  
ვითომ კაცის გასაცნობად

კმარა მარტო კითხვები?  
ერთმანეთს ჰგავს თხა და ვირი  
და, ცხადია, ვირთხები.  
ანკეტასთან კაცის სულმა  
სანამ ფეხი მოირთხა,  
შეეჯახნენ რქებით ერთურთს,  
ვით ბოგირზე ორი თხა...

## მეიბრამა

ჯინსებსა და მისთანებზე, ანუ  
ლოგოპედიური სავარჯიშო  
დამწყებთათვის

იყო ერთი გოგო გვანცა,  
სილამაზემ გააანცა,  
არც ჯინსს თმობდა, არც კაბასა,  
თვალი გააანცაბა,  
იანჩხლა და იკაპასა  
და დაუსვა ნიკას ფასად!  
სხვა წყარო რომ არა ჰქონდა,  
ქმარი გააანაკონდა!..  
ბოლოს დარჩა მარტოსულად,  
ციხის კარებს უტრიალებს:  
„აარული კუდიანებს!..“  
ველარ გაააარულა!..





სატირიკო და იუმორის ყურ-  
ნალი „ნიანგი“ № 9 (1667).  
მადრი. გამოდის 1923  
წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ ჯოღაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ჭაბუა ამირჯიბი, ნოზალი  
ბართია, ბორის გურგუ-  
ლია, ნოდარ დუმბაძე, რე-  
ვაზ თვარაძე, ჭემალ ლო-  
ლუა, ნოდარ მაღაზონია  
(მხატვარ - რედაქტორი),  
ალექსანდრე სამსონია,  
ხევან ხიზარაშვილი (მთავარი  
რედაქტორის მოადგილე),  
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ  
წიფივაძე, ნაფი ჭუსიითი.

ტექნიკური რედაქტორი  
მიხეილ კუხალაშვილი

გადაცემა ასაწყობად 6.4.  
84 წ. ხელმოწერილია და-  
საბეჭდად 7.5. 84 წ.  
ქაოლის ზომა 60x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-  
ლი 1,25, სააღრიცხვო-სავა-  
მომცემლო თაბახი 1,7, სა-  
ქართელოს კბ ცკ-ის გა-  
მომცემლობა, ლენინის, 14.  
შეკვეთა № 831, უმ 00040  
ტირაჟი 138.300. ყურნაო  
გამოდის თვეში ორჯერ.  
რედაქციის შემოსული მა-  
სალები ავტორებს არ უბ-  
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008,  
თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/მგ მდივნის —  
93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ყოფილებათა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშაკების — 99-02-38,  
მდივან - მემანქანის —  
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-  
ский журнал «НИАНГИ»  
(На грузинском языке)  
Тбилиси, пр. Руставели  
№ 42. Издательство ЦК  
КП Грузии, Типография  
издательства ЦК КП  
Грузии, Тбилиси, улица  
Ленина № 14.

ზანი 80 კაპიკი  
ინდექსი 76137



ნახ. ზ. ლომიძისა

ცივი უხავი თავპარიანებისათვის

ჩვენ არ გვჭირდება სამხედრო უპირატესობა,  
არ ვაპირებთ სხვებს ვუკარნახოთ: ჩვენი ნება.  
მაგრამ მიღწეული სამხედრო თანასწორობის  
დარღვევის უფლებას არაფერს მივცემთ. და დღე,  
ყველამ კარგად იცოდეს, ჩვენ კვლავაც ვიზრუ-  
ნებთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ჩვენი  
ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, რომ გვქონდეს  
საკმარისი საშუალებანი, რომელთა მეშვეობით  
შეიძლება დავაცხროთ ომის მოტრფიალე თავ-  
ფიცხელი ავანტიურისტები. ეს, ამხანაგებო,  
მშვიდობის შენარჩუნების მეტად არსებითი წა-  
ნამძღვარია.

